

ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

ისტორიული დოკუმენტი და ისტორიული მოვენტი

თურქეთში მცხოვრებ ლაზების მესვეურთა მიერ შედგენილი – „ლაზების დეკლარაცია თურქეთისა და საქართველოს ხალხს და მსოფლიო საზოგადოებას“ – თავისი მნიშვნელობით ისტორიული დოკუმენტია, რომელშიც გამოხატულია თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრები ლაზების პროგრესული ნაწილის თვალსაზრისი საკუთარი ეროვნული იდენტობის დადგენისა და დაცვის შესახებ. მაგრამ ამასთანავე არის უდიდესი ისტორიული მომენტის აღმნიშვნელიც, რადგან თურქეთის სახელმწიფოში არსებულმა საზოგადოებამ გაბედა და შეძლო ნათლად და არაორაზროვნად წარმოეჩინა თავისი პოზიცია აღნიშნულ საკითხზე ყოველგვარი მორიდებისა და მიკიბ-მოკიბვის გარეშე.

ჩვენ მივესალმებით მათ მიერ ამ მიმართულებით გადადგმულ ყოველ მართებულ ნაბიჯს და თავს მოვალედ ვრაცხთ, მხარში ამოვუდგეთ ყოველგვარ ალაღსა და გულწრფელ ძალისხმევას. ამასთან ვფიქრობთ, არც ისინი დაგვძრაბავენ და დაგვიშლიან, ასევე ალაღად და გულწრფელად გამოვთქვათ ჩვენი აზრი აღნიშნულ დეკლარაციაში წარმოჩენილი პოზიციის მიმართ.

დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ „საქართველო, ოფიციალური განცხადებით, მეგრულ-ლაზ ხალხს არ განიხილავს ავტონომიურ, ცალკეულ ელემენტად, არამედ მას განიხილავს ქართველი (ან გურჯი, Georgian) ერის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად. ლაზურ ენას კი, ქართული (ქართველური, Georgian) ენის ერთ-ერთ დიალექტად...“, რომ „ლაზები ქართველი ერის ნაწილს არასდროს წარმოადგენდნენ და არც ახლა არიან მისი ნაწილი. ლაზები ქართველები (ქარველური) არ არიან. ლაზები ისტორიის დასაწყისიდანვე ლაზები არიან და სურთ ლაზებად დარჩენა...“, ან კიდევ ის, რომ „ლაზური ქართული (ქართველური) ენის, მისი კილოს, დიალექტის, ქართველური ენების (Georgian languages) ნაწილი არ არის. სა-

ერთო ქართველურის (common kartvelian) მსგავსი ქართველისტი-ბის ტერმინოლოგიების წინააღმდეგეები არიან და მას უარყოფენ...“ განსაკუთრებით კი, რომ „ეს ტერმინოლოგიები ქართული ენის წი-ნა პლანზე უსაფუძვლო წარმოჩენის, ლაზური და მეგრული ენების იგნორირებას ემსახურება... ამ არაობიექტურ ტერმინოლოგიის ნაცვლად მეცნიერული და აპოლიტიკური ტერმინის „სამხრეთ-კავკასიის ენების“ (South Caucasian Languages) ტერმინის გამოყენე-ბა“, – მათი აზრით, უფრო უპრიანი იქნებოდა. „ამით ლაზური დე-დაენის, ქართული ენის ან სხვა სამხრეთ კავკასიის ენების ისტო-რიულ და გენეტიკურ სიახლოვეს არ უარვყოფთ. ეს სიახლოვე ინ-დოევროპულ ენათა ოჯახის ტევტონური ჯგუფიდან გამოსული გერმანული და ინგლისური ენების სიახლოვისთვის შეიძლება იყოს შედარებული. ზემოთ მოხსენებული ენები ლაზურსა და ქართულ ენაზე მეტად ახლოს დგანან, მაგრამ როგორც გერმანელებს ინ-გლისელებს, ან ინგლისელებს გერმანელებს არ უნოდებენ, ასევე არ შეიძლება ეწოდოს ამ სიახლოვის გამო ლაზებს ქართველები, ლაზურს ქართული“. (აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს შორის, ბოლო დრომდე, არასდროს არ მდგარა უილიამ დამპყრობელი – უ. ო.). ამ სიახლოვის გარკვეული პოლიტიკური მნიშვნელობით დატ-ვირთვა უაზრობა და უხამსობაა...“ და ა. შ. [1, 769-770]

ჩვენ არც ამის საწინააღმდეგო გვაქვს რაიმე, მაგრამ მოდი სე-რიოზულად, ერთად დავფიქრდეთ, – სადამდე შეიძლება მიგვიყვანოს ამ მიმართულებით სიარულმა, საკითხთა სიღრმისეულმა გა-აზრება-ანალიზმა.

სტატიიაში – „სახელწოდება „ლაზის“ წარმოშობასთან დაკავში-რებული საკითხები“ [2, 122-125] ა. ი. აქსამაზი აღნიშნავს: „...ტერ-მინ ლაზს ბერძნები არავითარ შემთხვევაში თურქებთან ან ლაზებ-თან არ აიგივებენ. პირიქით, ამტკიცებენ, რომ ეს ტერმინი ბერძნუ-ლია და ნიშნავს „გაუმარჯოს საბერძნეთს“ (ელას ზი – წ. ბ.). თურ-მე პროფესორ მიშელ მეეკერისთვის ს. დელიგიორგისის ნაამბობს თუ დავუჯერებთ „...სიტყვა ლაზი მოჭრილი ენით გამოთქმული „გაუმარჯოს საბერძნეთს“ ყოფილა. ხოლო მეორე შემთხვევაში ქ. აქსოილუ ამბობს, რომ „ახ. წ. 500 წელს პროკოფიუსის „ომების ის-ტორიაში“ ვხვდებით ასეთ ფრაზებს: „კოლხები, ანუ ლაზები“, „კოლხები ამავდროულად ლაზები იყვნენ“. VI საუკუნის ბიზანტიე-

ლი ისტორიკოსი აგათიასი ც აღნიშნავს ლაზებისა და კოლხების იდენტობას – „ლაზიკაში მცხოვრებნი ადრე კოლხებად იყვნენ ცნობილნი და ეს ლაზები და კოლხები ერთი და იგივე ხალხია... მიუხედავად ძველი კოლხეთის სამეფოს დანგრევისა და სიტყვა კოლხის დავიწყებისა, ლაზებს დაახლოებით 500 წლის შემდეგაც არ ავიწყდებათ კოლხი წინაპრები“ და როგორც აგათიასი აღნიშნავს „ამის გამო გადაჭარბებულადაც კი ამაყოფენ...“ [4].

აქ ყველაფერი ნათელია. მაგრამ ფ. კირზიოლლუ ამავე კრებულში განთავსებულ სტატიაში „ლაზთა და ჰემშინთა ისტორია“, ლაპარაკობს რა ლაზების შესახებ, გვეუბნება: „ლაზებს ისლამამდე 150 წლით ადრე, ჭოროხის ყელსა და აფხაზეთ-სამეგრელოს გამყოფ მდინარე ენგურს შორის და უფრო ღრმად – მდინარე ფაშ/რიონის გასწვრივ, რომის იმპერიის ნაწილის – ლაზიკის სამეფოში უცხოვრიათ (ანუ იგივე ეგრის-სამეგრელოში – უ. ო.). იგი „აგლუტინაციური ენის სამ დიალექტზე მოსაუბრე, მწერლობის არ მქონე, მცირერიცხოვანი თემია“ [5, 153, 155]. მანვე კარგად იცის, რომ პლინიუსის (ახ. წ. 23-79) იმ ცნობის არსებობა, რომელშიც ლაპარაკია ლაზების „შავი ზღვის პირას და მდ. ფაზისის გასწვრივ ცხოვრების შესახებ“ [5, 155] და იქვე მოყავს, მისი აზრით, „წყაროები, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ ლაზები ქართველ-მეგრელები არ არიან“ და ასევე „მტკიცებულებანი, რომლებიც ადასტურებენ ლაზების/ჭანარების თურანულ და თურქულ წარმომავლობას“...

და აქედან რა გამოდის?

გამოდის, რომ ხსენებულ პერიოდში შავიზღვისპირეთის აღნიშნულ მონაკვეთში თურმე თურანულ-თურქული წარმომავლობის ხალხი ცხოვრობდა, რაც ყოველგვარი ფანტაზიისთვისაც მიუწვდომელი აბსურდი და ისტორიული უმართებულობის, მართლაც, უმაღლესი რანგია. მაგრამ კირზიოლლუ თავისას არ იშლის და განაგრძობს: „კიდევ გვინდა ხაზი გავუსვათ: საქართველოს, თბილისის აკადემიურ გამოცემებში კატეგორიულად ცხადდება, რომ მეგრელები და ლაზები მოძმე ტომები არიან და რომ მათი ენებიც მსგავსია. ეს მტკიცებულებები კი მოძველებულია და ძალზე პრიმიტიულია“.

ამ, ისტორიული ოპუსის გაგრძელებაში კირზიოლლუ მიმართავს იმპერიული მეთოდოლოგიისათვის მეტად დამახასიათებელ ხერხს; ხელოვნურად გაყოფილი ლაზ/მეგრელების ერთმანეთზე

დასაპირისპირებლად, ერთის დამცირებისა და მეორის თითქოს-და ამაღლების ხარჯზე; რითაც მათ, მისი ჭკუით, ერთმანეთისაგან რადიკალურად მიჯნავს და თანაც ორივეს დასცინის და ალბათ, გუნებაში ხითხითებს კიდეც, რადგან კირზიოლლუებმა კარგად იციან, რომ ერთ და იმავე მოდგმაზე (ხალხზე) ლაპარაკობენ... ამ მხრივ კირზიოლლუს ოინებისაგან დიდად არ განსხვავდება ამავე კრებულის ავტორის ნ. ალქომრუს მდარე ხასიათის მოსაზრებანი [5, 162-165], აღარაფერს ვამბობთ სომეხი პერ მინას ბუიშკიანის (XVIII-XIX ს-ის მოღვაწე) თუ მისი მოდგმის ზოგიერთი წარმომადგენლისათვის დამახასიათებელ პასკვილურ ჟანრზე, რის გამოც ილია ჭავჭავაძეს „ქვათა ლალადის“ დანერა მოუწია. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს მიერ დასახელებული სომეხი ავტორიც კი, მიუხედავად მის ნაშრომში დაშვებული ზოგიერთი ლაფსუსისა, პონტოს სამეფოსა და კოლხების შესახებ თხრობისას, აღიარებს, რომ „კოლხეთის დღევანდელი მოსახლეობის უმეტესობას ქართველები და მეგრელები წარმოადგენენ. ესენი ორივე ერთ ერს ეკუთვნიან და ერთი და იმავე ენის, რჯულისა და ადათ-წესის მიუხედავად, ქართველებს აჩიქბაშს (იმერლებს), ქოროხიდან ფოთის სამხრეთით ირანამდე გადაჭიმულ მათ ქვეყანას კი გურიელს უწოდებენ“ [6, 171-180]. აქ შევეხებით ერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც, ამ მრავალმხრივ საინტერესო კრებულში, ასეა გახმიანებული: „საბჭოთა მმართველობა თავდაპირველად „მცირე“ ხალხებს პატრონად მოეკლინა.

აღნიშნულ პერიოდში კავკასიაში რიცხობრივად მცირე ეთნიკური ჯგუფებიდან ზოგიერთმა „კულტურული უფლებები“ მიიღო და აქამდე უდამწერლობო ენებმა „ოფიციალური ენების სტატუსი მიიღეს და წერილობით ლიტერატურას ჩაუყარეს საფუძველი... აბაზი, ადიღე, აფხაზი, ჩეჩენი, ლაზი და სხვა რიცხობრივად პატარა ეთნიკურ ჯგუფთა ლიდერთა სახელებიც ამ პერიოდში წინა პლანზე გამოვიდა...“ და მათი ლიტერატურის დამფუძნებელთა შორის ლაზი ისქენდერ ჭითაშიცაა დასახელებული [3, 180-186].

აქ, როგორც დღეისათვის საყოველთაოდ ცნობილია, საქმე გვაქვს უძველესი იმპერიული პოლიტიკის, „გათიშე და იბატონე“, გატარების საბჭოურ ნაირსახეობასთან, რომლის ამ ფორმით განხორციელებაც მიზნად ისახავდა პატარა ერების ადრე მათზე საზოგადოებრივ-კულტურულად ზემოქმედების მქონე (დომინანტი)

ერთობისაგან ჯერ ხელოვნურად გამოცალკევება-გამოყოფას, მათ განაპირობებს, შემდეგ კი, როდესაც ისინი სრულიად დაუცველნი აღმოჩნდებოდნენ იმპერიული მანქანის ზენოლის წინაშე თანდათანობით გარუსებას (რაც ფაქტიურად ხორციელდებოდა კიდეც).

დღეს ვერავინ აიღებს თავზე დაამტკიცოს, რომ ამას მართლაც მოყვა მცირე ეთნიკურ ერთეულებში ეროვნული ლიტერატურის აღორძინება, ან მათი „კულტურული უფლებების“ დაცვა. პირიქით, მათი გარუსების პოლიტიკამ მართლაც-და, შეუქცევადი ხასიათი მიიღო და რომ არა საბჭოთა იმპერიის მიყვსეული დაშლა, ახლა ე. წ. ახალი ისტორიული ერთობა – საბჭოთა ხალხი, რეალობად იქნებოდა ქცეული. ქართულს კი იგივე როლი ექნებოდა შერჩენილი საქართველოში, რაც ამჟამად ლაზურ „ნანანენას“ აქვს თურქეთის რეპუბლიკაში.

„კაჩკარის კულტურული წრე“, ანუ „ლაზებურას სამუშაო ჯგუფი“ წერს: „1935 წელს სოხუმში ლაზურად დაიბეჭდა სასკოლო წიგნი, რომლის ავტორიც იყო ისქენდერ ჭითაში – ლაზების დიდი პოეტი და მეცნიერი. სტალინის ბრძანებით ისქენდერი 1938 წ. (1939 წ. – ნ. ბ.) მოკლეს და მოკლე ხანში ლაზი ხალხიც ციმბირში გადაასახლეს. ამასთან ერთად კულტურულ თავისუფლებასაც ბოლო მოეღო [3, 181]. შემდეგ კი იქვე ლაპარაკია ისქენდერ ჭითაშის მიერ 1935-1937 წლებში სოხუმში გამოცემულ ლაზური სკოლების დანყებითი (I-II) კლასების სახელმძღვანელოთა შექმნა-გამოცემის შესახებ [3, 182], ბოლოს კი მოტანილია **აჭარელი ლაზის** (1996) შემდეგი ნაამბობი: „საბჭოთა მმართველობამ „ოფიციალური ენის“ სტატუსის მქონე ლაზური ენის დასაწერად ლათინურის ნაცვლად კირილიცას გამოყენება ბრძანა. ისქენდერ ჭითაში ამას შეეწინააღმდეგა. ამიტომ მოსკოვიდან მოსული ბრძანების თანახმად... 1939 წელს ის ბაქოში მოკლეს“ [3, 182].

აი, სწორედ ჩვენი ზემოთ მოყვანილ მოსაზრებათა დადასტურება... და, მოდით ერთად გადავწყვიტოთ, – იქნებ ღირს ყოველივე ამაზე სერიოზულად დაფიქრება.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ აქ სრულიად უადგილოა დასმული კითხვა: „თუ ნამდვილი მიზეზი ანბანის პრობლემა იყო, მისი მოკვლის შემდეგ ამ რეფორმის განსახორციელებლად მის ადგილზე სხვა ვინმე რატომ არ დანიშნეს?“. რადგან აღნიშნული პოლიტიკის ნამ-

დვილი მიზანი ამ „მცირერიცხვან ეთნიკურ ჯგუფებში“ ე. წ. „კულტურული უფლებების“ მოთხოვნილებათა საბოლოო გაქრობა-გაუქმება იყო. რასაც აკეთებდნენ კიდეც, რადგან ეს იყო მათი „ეროვნული პოლიტიკის“ ჭეშმარიტი არსი და მიზანიც, რათა აღნიშნული „მცირე ეთნიკური ჯგუფები“ მათზე გავლენის მქონე საზოგადოებრივ-კულტურული ერთობისადმი, თითქოსდა მათ მიმართ ჩადენილი უსამართლობის განცდის მუხტით დაემუხტათ და შემდეგ ეტაპზე, მათი მიზნების შესაბამისად, კონკრეტული რესპუბლიკების წინააღმდეგ დაერაზმათ, რაც დღევანდელ საქართველოში მომხდარი ფაქტია.

აქვე სტატიის ავტორი ა. ი. აქსამაზი აღნიშნავს: „ჩვენ ვხედავთ ისქანდერ ჭითაშის სახელთან არის დაკავშირებული ლაზების მიერ „კულტურული უფლებების“ მოპოვება და მისი სიკვდილის შემდეგ კი ამ „კულტურული უფლებების“ დაკარგვა“; რაც, ჩვენი აზრით, ხელოვნურად შექმნილი, ისტორიულად ყალბი (მცდარი) თეზაა. რადგან ჩვენ ვფიქრობთ, რომ ლაზ-მეგრელებმა თავიანთი ისტორიული კულტურული უფლებები, ქართველ ხალხთან ერთად, შექმნეს საბჭოთა პერიოდამდე დიდი ხნით ადრე თავიანთი ათასწლოვანი გმირული ბრძოლითა და შემოქმედებით; ამიტომაც მას ამ უფლებას ვერავინ შეეცილება მანამ, სანამ ღვთისგან კურთხეული ერთობა, საქართველო, მათთან ერთად იარსებებს! (ის არ არსებობს ცალკე – ქართლელის, კახელის, მეგრელ-ლაზის, იმერლის, სვანის, მესხის, აჭარელის, გურულის თუ სხვა ქართული მოდგმის შვილთა გარეშე, რადგან იგი მხოლოდ მათი ერთობაა).

ისქენდერ ჭითაში კი არის ლაზებისათვის სპეციალურად, ამასთან ხელოვნურად შექმნილი გმირი, რომელმაც, როგორც ჩანს, არ იცოდა თავისი ისტორიული ფესვების სიღრმე, თორემ მსოფლიოში აღიარებული ქართული დამწერლობის პატრონი, ლათინური შრიფტით ლაზური ანბანის შექმნას არ მოინდომებდა. ამით მან, შეიძლება მისდა უნებურადაც, შეასრულა იმპერიული დაკვეთა და ხელოვნურად დაუპირისპირდა იმ ერთობას, რომლის ერთ-ერთი ყველაზე ღირსეული წევრები სწორედ ლაზები (კოლხ-ეგრები) არიან. ამით კი ჩვენი ერთობის მტერს გაანაპირებინა არა მარტო საკუთარი ხალხი, არამედ საკუთარი პერსონაც. (იგივე ხდება დღეს საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებშიც). ყველაფერ

ამის დამგეგმავმა კი მიზანს მიაღწია და ერთსაც და მეორესაც, თავისი ინტერესების შესაბამისად, გაუსწორდა.

სწორედ, ამჯერად თურქეთში, ამ პოლიტიკის „გამარჯვების“ შედეგია „ლაზების დეკლარაცია“... თორემ ნორმალურ პირობებშიც კი, შეიძლება ჩვენს შორისაც იყოს რაღაც პრობლემატური საკითხები, მაგრამ მიგვაჩნია, რომ მათი დეკლარაციების გამოქვეყნებით გადაჭრის გზების ძიება, მიუღებელია, რადგანაც ჩვენი ურთიერთობა და ისტორიული თანაცხოვრება ათასწლეულებს ითვლის და ისტორიულ-სახელმწიფოებრივი ერთობაც, რომელსაც საქართველო ჰქვია, ამ ათასწლეულთა განმავლობაში ჩვენი წინაპრების მიერ ერთად დაღვრილი უზომო სისხლითა და საქმით (შემოქმედებითი შრომით) არის განმტკიცებული. ამიტომაც ვერავინ დააშორებს ერთმანეთს ფარნავაზსა და ქუჯის, იოანე მარუშისძესა და დავით მესამე კურაპალატს, დავით აღმაშენებელსა და გიორგი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს, ცოტნე დადიანსა და კახაბერ რაჭის ერისთავს, ილია მართალსა და დუტუ მეგრელს, ალექსანდრე ოქროპირიძესა და ამბროსი ხელაიას, ივანე ჯავახიშვილსა და სიმონ ჯანაშიას, კონსტანტინე გამსახურდიასა და გრიგოლ რობაქიძეს... და ბოლოს, საქართველოსა და ქართულ ფესვებს ვერავინ მოგლეჯს საქართველოს ეროვნულ გმირებს – მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას!..

განა, ვინმეს შეუძლია მათი უდიდესი ქართველობის ეჭვქვეშ დაყენება?!

სიმართლე ძალზე მტკივნეულია, მაგრამ ეს არის... და, ასეთ შემთხვევაში მისი პირდაპირი თქმის მეტი არაფერი დაგვრჩენია და ვერც ვერაფერი გვიშველის. მაგრამ იმედია, მისი უდიდესი კეთილმოსურნეობით გამოყენება საჭირო შედეგს გამოიღებს!

P. S. გამოხმაურება უკვე მზად იყო, როდესაც ცნობილმა ქართველმა მწერალმა იაშა თანდილავამ მომანოდა ცნობა, რომ ისქენდერ ჭითაში სინამდვილეში ყოფილა, ლაზებში შემოგდებული, ეროვნებით რუსი, ალექსანდრე ცვეტოვი, რომელმაც მიიღო ლაზური გვარი და აფხაზეთსა და სამეგრელოში ეწეოდა ერთიანი საქართველოს წინააღმდეგ ძირგამომთხრელ საქმიანობას. მანვე 15 ლაზი ახალგაზრდა წაიყვანა პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტში (მათ შორის მხატვარი ხასან ჰელიმიში, მუჰამედ მემიშიში

და სხვ.), როგორც ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები, სასწავლებლად, თითქოს-და ეროვნული კულტურისათვის კადრების მოსამზადებლად; სინამდვილეში კი ეწეოდა „სუკ“-ის აგენტურულ საქმიანობას აფხაზებსა და მეგრულ-ლაზებს შორის, მათი ქართველებთან დაპირისპირების მიზნით.

დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ლაზები და ლაზეთი თურქულ გამოცემებში, თბილისი, 2015.
2. აქსამაზი ა. ი., სახელწოდება „ლაზის“ წარმოშობასთან დაკავშირებული საკითხები, კრებულში: ლაზები და ლაზეთი თურქულ გამოცემებში, თბილისი, 2015.
3. აქსამაზი ა. ი., ვინ და რატომ მოკლეს ლაზური ლიტერატურის წინამძღვარი ისქენდერ ჭითაში?, წიგნში: ლაზები და ლაზეთი თურქულ გამოცემებში, თბილისი, 2015.
4. აქსოილუ ქ., ლაზებისა და სამხრეთ კავკასიელების წარმოშობა და მათი პირველსაცხოვრისი, წიგნში: ლაზები და ლაზეთი თურქულ გამოცემებში, თბილისი, 2015.
5. კირზიოლლუ ფ., ლაზთა ა ჰემშინთა ისტორია, წიგნში: ლაზები და ლაზეთი თურქულ გამოცემებში, თბილისი, 2015.
6. ბუაშკიანი პ. მ., „პონტოს ისტორია“, მისივე, „კოლხეთის ისტორია“, წიგნში: ლაზები და ლაზეთი თურქულ გამოცემებში, თბილისი, 2015.

Ucha Okropiridze

Doctor of History, Batumi Shota Rustaveli State University, Head Scientist of the Department of the Niko Berdzenishvili Institute of History and Archeology

Historical Document and Historical Moment

Summary

The work deals with the replay to the views expressed in the letter „**declaration of Lasis to Turkish and Georgian people and to the world**“

society“ printed in Tbilisi edition collection – „Lasis and Lazeti in Turkish editions“.

It discusses some unjustified provisions according to the Georgian national self-consciousness represented in the mentioned declaration and the idea expressed to the benefit of the permanent values established in modern historic thinking of Georgia.

The work also covers the criticism of wrong and ambiguous views of the authors working in Turkey. Represents the trying of explanation understanding (correct) of the difficult circumstances created around the Lasis residing in the Republic of Turkey.